სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 071
ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1, ტელ.: 0350 272401
განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
II კორპუსი, II სართული, დეკანატი–ოთახი №27 ტელ.: 0350 27-11-76;
E-mail: edu.faculty@tesau.edu.ge

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**საგანთა სწავლების მეთოდიკა**
ანათლების საფეხური	მაგისტრატურა (II საფეხური)
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	აკადემიური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	განათლების მაგისტრი
სწავლის ხანგრძლივობა	ორი აკადემიური წელი
ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა	**120 კრედიტი**
პროგრამის ხელმძღვანელი	Profესორი ნინო მოდებაძე; Profესორი ნინო ნახუცრიშვილი.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები	აღნიშნული სამაგისტრო კურსის მიზანია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურებისათვის ზუსტ და საბუნებისმეტყველო ბლოკის (ფიზიკა, მათემატიკა, ბიოლოგია, გეოგრაფია) მასწავლებლის მომზადება რომელსაც აქვს სპეციალობის საგანში ღრმა ცოდნა, დაფუძნებული კვლევასა და სწავლებაზე; ფლობს ყველა იმ კომპეტენციებს, რაც საჭიროა სკოლაში თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის. აგრეთვე მაგისტრისათვის მეცნიერების საფუძვლების იმ დონეზე დაუფლება, რომელიც მას მოამზადებს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური მოღვაწეობისათვის.
საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები	**<u>მაგისტრს</u>** საგანში აქვს თეორიული ღრმა და სისტემური ცოდნა; სრულად ფლობს დარგის შესაბამისი კვლევის სპეციფიკურ მეთოდებს, იცის სწავლებისა და შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები; სრულადაა დაუფლებული პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის საკითხებს, რასაც აქტიურად იყენებს თავის პროფესიულ საქმიანობაში. ამასთანავე, ფლობს სწავლისა და განვითარების თანამედროვე თეორიებს; იცნობს ინკლუზიური განათლების ძირითად პრინციპებს; შეუძლია კომპლექსური პრობლემის გადაჭრა დამოუკიდებლად და ორიგინალური გზით; ეუძლია სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობა და მათთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად ადაპტირებული სასწავლო პროცესის განხორციელება; შესწევს უსაფრთხო და ჯანსაღი სასწავლო გარემოს შექმნისა და გაუმჯობესების უნარი;
დასაქმების სფერო	საგანთა სწავლების მეთოდიკის სპეციალობის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება იმუშაოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საბაზო და საშუალო საფეხურზე, პროფესიულ სასწავლებლებში საგნის მასწავლებლად და\ან გააგრძელოს კვლევითი მუშაობა დოქტურანტურაში.